საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური
GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93

N 01/20086
11/09/2017

20086-01-2-201709111206

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანლიტიკოსს
ირმა ბახუტაშვილს
მის.: ქ.ქუთაისი, კიბულის I შესახვევი №6
ელ.ფოსტა: irmaba@mail.ru

ქალბატონო ირმა,

მ/წლის 29 აგვისტოს №20968/01 წერილობითი მომართვის პასუხად, უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ:

- 2017 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საწვავით უზრუნველყოფილი იქნა 77 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთაგან 17 ერთეული მერიის საკუთრებაა, 60 ერთეული კი აყვანილია თხოვების ხელშეკრულებით.
- ცხრილის სახით წარმოგიდგენთ, 2017 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ მოხმარებული საწვავის დეტალურ ანალიზს (დანართი 2). დანართის სახით წარმოგიდგენთ, ტრასნპორტით უზრუნველსაყოფად აუცილებელი საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ასლებს (2015 წლის 2 მარტის №322 ბრძანება, 2016 წლის 13 მაისის №1499 ბრძანება, 2017 წლის 9 ივნისის №1490 ბრძანება). განვმარტავთ, რომ ქალაქგარეთ სამსახურებრივი მივლინების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხდება ტრანსპორტირებისათვის საჭირო ოდენობის საწვავის გამოყოფა.
- ცხრილების სახით წარმოგიდგენთ 2012 და 2016 წლებში, კონკრეტული თანამდებობის პირებისა და სამსახურების მიერ მოხმარებული საწვავის დეტალურ ჩამონათვალს (დანართი 3.1, დანართი 3.2 და დანართი 3.3).

პატივისცემით,
გენადი კუჭუხიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მ.შ.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური